სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისია

განკარგულება №1

ქ. ბათუმი 15 მაისი, 2015 წ.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმართველობის არჩევნების გამოცხადების შესახებ

,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ'' აკადემიური საბჭოს 2014 წლის 25 ივნისის №71 დადგენილების, ბსუ-ს რექტორის 2015 წლის 14 მაისის №01-08/16 ბრძანების, ბსუ-ს სტუდენტური თვითმართელობის საერთო კრების მიერ 2015 წლის 01 მაის დამტკიცებული ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის 2015 წლის არჩევნების დროებითი დებულების'', ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და ბსუ-ს ფაკულტეტების საბჭოებზე არსებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის გათვალისწინებით საარჩევნო კომისია ადგენს:

1. განისაზღვროს ბსუ-ს სტუდენტური თვითმართველობის არჩევნების ჩატარების თარიღი და კვოტა ფაკულტეტების მიხედვით:
   ა) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი - 2015 წლის 28 მაისი, კვოტა 10 სტუდენტი;
   ბ) იურიდიული ფაკულტეტი - 2015 წლის 28 მაისი,კვოტა 5 სტუდენტი;
   გ) ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 2015 წლის 29 მაისი, კვოტა 10 სტუდენტი;
   დ) სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 2015 წლის 29 მაისი, კვოტა 5 სტუდენტი;
   ე) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი - 2015 წლის 01 ივნისი, კვოტა 17 სტუდენტი;
   ვ) ტურიზმის ფაკულტეტი - 2015 წლის 01 ივნისი, კვოტა 4 სტუდენტი;
   ზ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 2015 წლის 02 ივნისი, კვოტა 24 სტუდენტი;
   თ) განათლების ფაკულტეტი - 2015 წლის 02 ივნისი, კვოტა 6 სტუდენტი;
   ი) ტექნოლოგიური ფაკულტეტი - 2015 წლის 03 ივნისი, კვოტა 13 სტუდენტი.
2. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში (მისამართი ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ №35, ოთახი N4) 2015 წლის 18 მაისიდან – 2015 წლის 25 მაისის ჩათვლით, უქმე დღეების გარდა, 10 საათიდან 17 საათამდე; (არჩევნების დღეს კენჭისყრა იწყება 9.00 სათზე და მთავრდება 17.00 საათზე).

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საარჩევნო კომისია

3. კანდიდატმა რეგისტრაციის გასავლელად კომისიას უნდა წარუდგინოს:
   ა) პირადობის დამადასტურებელი საბუთის ასლი;
   ბ) ცნობა შესაბამისი ფაკულტეტიდან - საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო წლის მითითებით;
   გ) განცხადება საარჩევნო კომისიის სახელზე (ივსება ადგილზე).
4. ბსუ-ს ფაკულტეტების დეკანებს ეთხოვოთ არჩევნებისთვის შესაბამისი ოთახების გამოყოფა და ამომრჩეველთა სიების წარდგენა ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში 2015 წლის 20 მაისის ჩათვლით (აქტიური საარჩევნო უფლების მქონე სტუდენტთა სია).
5. განკარგულება ჩაბარდეთ ბსუ-ს ფაკულტეტების დეკანებს.
6. განკარგულება განთავსდეს ბსუ-ს ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებსა და ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე.
7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე- გიორგი დიასამიძე

კომისიის მდივანი - ხათუნა აფაქიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საარჩევნო კომისია